# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 215 — სამშაბათი, 29 სექტემბერი 1909 წ. — № 215

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაიბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ასწორებს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


## „დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

გაზეთი აღარ ეგზავნება ყველას, ვისაც წლიური ფასი არა აქვს გადახდილი.


## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


28 ენკენისთვეს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა

### გიორგი (გილო) ვახტანგისძე მაჩაბელი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი ნატალია ანდრიას ასული შვილებითურთ და დედა მისი ელისაბედ ივანეს ასული მაჩაბლისა შვილებითვე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7 ს., მიხეილის ქ. № 111.

(1—474—1)

ქვრივი ნინო ლევანის ასული გუგუშვილისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 3 ოქტომბერს, მისი მეუღლის

პოლკოვნიკ

### მელიტონ გიორგის ძის გუგუშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, სოფ. ეწერში (სადგური აბაშა) გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი; წირვა დაიწყება 10 საათზე და პანაშვიდი წირვის შემდეგ.

(1—კვ.—1)


წარმოდგენა № 2. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 2.

ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს, 1909 წელს

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-6 ან. ჩირგაძის და შ. შარაშიძის მონაწილეობით პიესა სუვორინისა და ბურენინის

## მ ე დ ე ა,

დრამა 5 მოქ. თარგ. დ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ქილარჯიშვილი, ან. ჩირგაძე; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამშელი, მ. შარაშიძე, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასი. ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „უდანაშაულოდ დასჯილნი", „ექიმი აშირბაჯიანი".

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდურონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—259)

**ექიმი** **გ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 169.

**ექიმი** **კაკიტელაშვილი** ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სტამბის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—76)

**ექიმი** **ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** **ლ. ნ. ოჰანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნეისერისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—24)

**ექიმი** **ჩ ა რ ე ქ ო ვ ი** ქ. ქუთაისში. სპეციალისტი. იღებს განსაკუთრებით სიფილისით, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მესამე იოსელიანის სახლში. (25—ფ.—18)

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** **კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ. ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეხ. N 5, ს. მაფრანცოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—10)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** **ვასილ წერეთელი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—16)

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—17)

**ექიმი** კბილისა **ს. ვაშაყმაძე** აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—6.—18)

**ექიმი** **ი. ნ. ეგიაზაროვის** ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—18)

ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. რაჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—6)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენდრიუშჩენკოისა, ტელეფ. 695.

ვ. ს. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეჩერდა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეჩერდა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—167)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება მესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ხომრებისაგან. (100—ხალ.—16)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგუსვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

ნოვიცკი—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

ახვლედიანი— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—12½ ს.

კალამქაროვი—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ. გარდა 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურ. 11½—12½ ს.

ასპიროვი—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (100—6.—98)


ქარ. დრამატ. საზოგადოების

## გამგეობა

სთხოვს ყველას, ვისაც გამგეობის ბიბლიოთეკიდან წაღებული აქვს

**პიესები, წიგნები ან როლები**

დაუბრუნოს ამ მოკლე ხანში გამგეობის კანტორაში ბიბლიოთეკის გამგეს იოსებ იმედაშვილს.

(3—3) დრამ. საზ. გამგეობა

ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს,

**მცხეთობა დღეს,**

მცხეთაში კოტე გედევანიშვილის ბაღში (აქედან მისავალში, სოფლის თავში) ადგილობრივ წმ. ნინოს დედათა სკოლის სასარგებლოდ გაიმართება

## დიდი სახალხო სეირნობა

იქნება ყოველ გვარი გასართობი: ბედის კვერი, პტი-შვო, კონფეტტი და მრავალი სხვა. დაუკრავს სამხედრო მუსიკა. გაიმართება ბუფეტი, სადაც ჩაი, ყავა, საჭმელ სასმელი იაფად გაიყიდება.

სეირნობა დაიწყება 12 საათზე.

(4—უ.—3)


## იყიდება

იაფად სააგარაკო ადგილები, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყით და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.

(50—6.—32)

### სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის" ახლოს). (25—6.—19)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

საინტერესო საკითხს ეხება ალმანახი „ჩვენი ერი"—„სამშობლო ენის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში". თუმცა ამ საკითხზე ბევრი რამ დაწერილა, ბევრი რამ თქმულა, მაგრამ იგი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ ყოველ დღესაც რომ იწერებოდეს, მეტი არ იქნება. რუსიფიკატურმა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო, სკოლა ხელში ჰქონდა და გარუსების პოლიტიკისათვის ეს უებარი საშუალება იყო. სამშობლო ენა განდევნეს სკოლიდან. სწავლება ყველა საგნისა რუსულ ენაზე სწარმოებდა და სწარმოებს. სამშობლო ენის სწავლება ბევრს სასწავლებელში მეტ ბარგადაც მიაჩნდათ და თუ კი სადმე ასწავლიდნენ, იქაც საქმე კარგად არა ყოფილა დაყენებული. სკოლიდან გარუსებული ბავშვები ოჯახს უბრუნდებოდნენ და ეს მავნე გავლენა სკოლისა აქაც მაგრად იკიდებდა ფეხს. ჩვენის ინტელიგენციის ოჯახების დიდ-ნაწილში რუსულად ლაპარაკობენ. და ასე სამშობლო ენა იდევნება ოჯახებიდანაც. „ერი" სწერს:

... სამშობლო ენის დაძაბუნება, დაძაბუნება იმ ენის, რომელიც ორგანიულად შეკავშირებულია ხალხის სულიერ ზრდა-განვითარებასთან, ნიშნავს თვით ამ ხალხის დაძაბუნებას, მის სულიერ დაქვეითებას.

ავტორი ამბობს, რომ ეს ჭეშმარიტებაა ყველა შეგნებული ქართველისა და ჯგუფისათვის.

ხოლო მისი ჭეშმარიტებად აღიარება,—განაგრძობს იგი—გვავალებს განსაკუთრებულის ყურადღებით მოვეპყრათ ენას და თუ მას რაიმე ხიფათი მოელის ზომები, მივიღოთ მის დასაცავად. ოჯახი ჩვენი, რომელიც ასე თუ ისე წინ წასულა, აღარაა ძველი ტრადიციების დამცველი, ის არა ჰგრძნობს შესაფერ კავშირს წარსულთან და არც პატივსა სცემს მას, რამაც შექმნა ჩვენი კულტურული ძალა. ამიტომაც დღეს ქართულ ოჯახში ქართული შემოკლებულია და მისგან შექმნილი კავშირი ოჯახის წევრთა შორის ისევეა დასუსტებული, როგორც მათ შორის ზნეობრივი კავშირი.

ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს მოვლენა უფრო თვალსაჩინოა ქალაქებსა და დაბებში ჩვენი ინტელიგენციისა და შეძლებულ კლასების ოჯახებში. შემდეგ ავტორი განაგრძობს.

სკოლა ხომ სულ ჩვენ წინააღმდეგაა მიმართული. უმთავრესად ის არის აღსანიშნავი, რომ დღეს ქართული სკოლა არც კი არსებობს. მეცნიერება და ხელოვნება იმ დაწესებულებაში, სადაც მოზარდი ათი-თუთხმეტი წლის განმავლობაში გონებრივად და ესტეტიურად იწვრთნება, ქართულ ენაზე არ შეისწავლების. და, რასაკვირველია, სანამ ამ მოვლენას ბოლო არ მოეღება, სამშობლო ენაზე აზროვნება და შემოქმედება ვერ გაიფურჩქნება, რაც უნდა ვეცადოთ.

ქართველი საზოგადოება სრულიად არ აქცევს ყურადღებას და არც რაიმე ზომებსა ხმარობს, რომ სკოლიდან სრულებით არ ამოაკვეთინონ ფეხი ქართულ ენას. დღევანდელ პირობებში გაზეთს საჭიროდ მიაჩნია კერძო თვითმოქმედებას ფართო ასპარეზი მიეცეს—საჭიროა სკოლის გარეშე დაარსდეს ჯგუფები სამშობლო ენისა და ლიტერატურის შესასწავლადაო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

27—28 სექტემბერი

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**სალონიკი.** სერესკის ოლქში ბოლგარელ ყაჩაღთა ბრბო გაჩნდა. ადგილობრივი ოსმალური პრესსა ძალიან აღელვებულია ამ ამბით. [illegible] ცხავს და ემუქრება, [illegible] ომს გამოგიცხადებთო.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** ახალგაზრდა შაჰის აღმზრდელს სმირნოვს და ექიმ სადოვსკის ოფიციალური ბრძანება მოუვიდათ, ახმედ-შაჰის სასახლეში წინანდელი ადგილები დაიჭირეთო. ტაგი-ზადეს პარტია თანდათან ძლიერდება. სეპეხდარის წინააღმდეგ დიდ აგიტაციას ეწევიან. განზრახული აქვთ გამოსცვალონ სამხედრო და ფინანსთა მინისტრები.

### საზღვარ-გარეთ.

**საიგონი.** საფრანგეთის ჯარის რაზმმა ხანგრძლივი ომის შემდეგ გააქცია ზღვის ყაჩაღი დეტამი. დეტამი თავის მიმხრეებით—350 კაცი—გამაგრებული იყო ხშირ ბუჩქნარიან ადგილზე. ყაჩაღებმა დაჰკარგეს 8 მოკლული. ჯარმა 18 მოკლული და 35 დაჭრილი.

**ხრისტიანია.** „აფტენპოსტენს" გარსტადიდან ატყობინებენ: ნორვეგიის ორმა გემმა ზღვაში შეამჩნია რუსეთის სავაჭრო გემი „პეტერბურგი". გემი „პეტერბურგი" ზღვას ვესტფორდისკენ მიჰქონდა. გამოირკვა, რომ გემი მატროსებს და კაპიტანს მიეტოვებინათ. ნორვეგიის გემებმა „პეტერბურგი" ნავთსადგურში მოიყვანეს. გემი ტყით არის დატვირთული. გემი „პეტერბურგი" მილიონერ კლემენტიევისა ალმოჩნდა. ჰფიქრობენ, რომ მატროსები და კაპიტანი გადარჩნენ.

**მადრიდი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა გაზეთის თანამშრომელს გენერალ დამადის სიტყვების შესახებ, რომ ესპანიას მაროკოში დიდი ჯარის გაგზავნა დასჭირდება და განზრახული აქვთ ტაზუს დაჭერაო, შემდეგი გადასცა: ესპანიის მთავრობის მოქმედება იმ თავიდანვე გარკვეული და ნათელი იყო ევროპის ყველა სახელმწიფოებისთვის. ესპანიამ არა ერთხელ და ორჯელ შეატყობინა ევროპის სახელმწიფოებს, რომ ქაბილებზე გალაშქრებას მიზნად მარტო ამ თემის დასჯა აქვს და აგრეთვე ქაბილების მეზობელ თემებში მშვიდობიანობის დამყარება. მე პროტესტს ვაცხადებ იმ ყალბ ცნობების გამო, ვითომ ესპანია მარტო ქაბილების დასჯით არა კმაყოფილდება და ტაზუს, ტეტუანის და ლარაშის დაჭერა უნდაო. ესპანია ასრულებს საფრანგეთის 28 აგვისტოს შეთანხმების მუხლებს და არც განუზრახავს ამ შეთანხმების დარღვევაო.

**მელილია.** პადორში ჩამოვიდა ქაბილების თემის შუა კაცი. შუა კაცმა გენერალ მარინას ქაბილების მეთაურების წერილი ჩამოუტანა. შუა კაცმა გენერალ მარინას გადასცა, ქაბილების მდგომარეობა უკიდურესობამდე მივიდა. აღარ აქვთ სასმელ-საჭმელი. ომში აუარებელი ხალხი დაჰკარგეს. 17 სექტემბერის ომის შემდეგ მავრებმა ველარ შესძლეს დაჭრილების წაყვანა და თვითონვე ჰხოცავდნენ თავიანთ თანამემამულეებსო.

**სტოკჰოლმი.** შვეციის საექსპორტო საზოგადოების დირექტორმა გამმარმა ფოსტით რაღაც ამანათი მიიღო. ამანათში ყუმბარა აღმოჩნდა. ამანათის გახსნის დროს ყუმბარა გასქდა. გამმარს მოწყვეტილი აქვს სალოკი თითი და სხვა და სხვა ალაგას მსუბუქად არის დაჭრილი. ყუმბარა შეხვეული იყო გაზეთ „ბრანდის" ნომერში.

**ვენა.** რეიხსრატის მუშაობა 7 ოქტომბერს დაიწყება. ჩეხიის სეიმის მოწვევა სხვა დროსთვის გადაიდო. ამის შესახებ გაზეთი „ვინტერ-კური[illegible]" [illegible] ხები ვერ შეურიგდნენ. მოლაპარაკებამ, რომ ორთავე მხარე შერიგებულიყვნენ და სეიმს ნაყოფიერად ემუშავნა, უშედეგოდ ჩაიარა. მთავრობა მიმდინარე წელს უკანასკნელად შეეცდება გერმანელების და ჩეხელების მორიგებას. მთავრობა ორივე მხარეს წინადადებას მისცემს: გსურთ თუ არა გაანთავისუფლოთ სახელმწიფო იმ ეროვნულ ბრძოლისაგან, რომელიც სახელმწიფოს განვითარებას აფერხებს, თუ ისევ წინანდებურად ერთი მეორის დაუძინებელი მტრები იქნებითო". გაზეთის აზრით მთავრობის ეს ცდა იმ ნაყოფს მაინც მოიტანს, რომ ქვეყანას დაანახვებს, რომელი მხარე აფერხებს შერიგების საქმეს და ვის უნდა დაედოს ბრალი, რომ ჩეხიის სეიმი ასე უნაყოფოდ მუშაობს.

### რ უ ს ე თ ი

**გროდნო.** მემამულეებმა სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს კონსტანტინე გენრიხის ძე სკირმუნტი.

**ლივადია.** სასახლის მინისტრის დეპეშა: 26 სექტემბერს ხელმწიფე-იმპერატორმა უკანასკნელად მიიღო და გამოემშვიდობა ოსმალეთის განსაკუთრებულ საელჩოს. მიღების შემდეგ სასახლის დიდ სასადილო ოთახში გაიმართა საუზმე, რომელზედაც მოიპატიჟეს ოსმალეთის საელჩო. საუზმის შემდეგ საელჩო მიიღო ხელმწიფე-იმპერატრიცა ალექსანდრა ფეოდორის ასულმა.

**პეტერბურგი.** დილის 9 საათზე გაფრინდნენ ჰაეროპლანი „ლებედი" და „უჩენნი". „ლებედი" 500 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა და იფრინა 3 საათი. ჰაეროპლანი „ლებედი" მშვიდობიანად მოფრინდა პეტერბურგს. „უჩენნი" რაღაც მიზეზით კრასნოე სელოსა და ლიგოვოს შუა მიწაზე ჩამოეშვა. საღამოს 7 საათამდის „უჩენნის" შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა.

**მოსკოვი.** დაიწყო დღესასწაულები პირველ მესტამბის ივანე ფეოდოროვის ძეგლის აგების გამო. სინოდის სტამბის სადგომში გაიმარ-

თა გამოფენა. გამოფენაზე შეგროვილია ფეოდოროვის მიერ დაბეჭდილი წიგნები. ამას გარდა გამოფენილია საზღვარ-გარედ ფედოროვამდის დაბეჭდილი წიგნები და ის წიგნები, რომლებიც რუსეთში ფეოდოროვის შემდეგ დაიბეჭდნენ. პარაკლისის გადახდის შემდეგ არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია უვაროვამ სიტყვა წარმოსთქვა. უვაროვამ აღნიშნა ფეოდოროვის ღვაწლი.

**პეტერბურგი.** ჰაეროპლანი „უჩებნი“, რომელიც 26 სექტემბერს ლიგოვოს ახლო დაეშვა მიწაზე, დაშალეს და ისე ჩამოიტანეს პეტერბურგში. არავინ დაშავებულა.

შესდგა ლიტერატორთა და მეცნიერთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების განსაკუთრებული კრება. კრებას უნდა განეხილა, პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის წინადადება საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ. კრების უმრავლესობამ დაადგინა დაემორჩილოს სტოლიპინის მოთხოვნას და შესცვალოს წესდება.

**რომანოვო - ბორისოგლებსკი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია რიბინსკის ბავშვთა თავშესაფრის ექიმის მაკაროვის საქმე. მაკაროვს ბრალდებოდა ბავშვების გაუპატიურება. სასამართლომ მაკაროვს რვა წლით კატორღა გადაუწყვიტა.

**იალტა.** ოსმალეთის განსაკუთრებულ საელჩოსთან ერთად ჩამოვიდნენ „საბახის“ თანამშრომელი დეპუტატი არიფი. სამხედრო ჟურნალების თანამშრომელი კაპიტანი აბდულ-კადირი და გაზეთებ „ტასვირი-ეფკიარის“ და „ჯერიდა-ბახრეის“ თანამშრომლები. გაზეთების თანამშრომლებმა ქალაქი დაათვალიერეს.

**იალტა.** ოსმალეთის საელჩო უკვე გაემგზავრა სტამბოლში. საელჩოს მეთაური, გარეშე საქმეთა მინისტრი რიფაატ-ფაშა ბევრს ელაპარაკა რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს იზვოლსკის. გამოირკვა, ორთავე სახელმწიფოები ერთნაირად არიან და-[illegible] რომ რუსეთისა და [illegible] შორის მეგობრული განწყობილება განმტკიცდეს.

**მინსკი.** გუბერნატორის მეთაურობით არსდება კურსები. კურსებზე ივლიან ადგილობრივ პოლიციის მოხელეები. კურსებზე პოლიციელებს ასწავლიან საპოლიციო უფლების თეორიას, სისხლის სამართლის კანონებს და პოლიტიკურ და სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებას.

**ვარშავა.** ნაშუადღევის პირველ საათზე თავისის ავტომობილით სახლიდან სადაც წავიდა გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე. რაღაც მიზეზით ავტომობილში აფეთქდა ბენზინი—3 ფუთი, მსუბუქად დაშავდა გენერალი, მძიმედ შოფერი. ამას გარდა დაშავდა ექვსი კაცი, ერთი მოკვდა. ავტომობილი დაიწვა.

**მოგილევი.** მემამულეებმა სახელმწიფო საბჭოს წევრად ხელ-მეორედ აირჩიეს სიანოჟეცკი.

**მოსკოვი.** გაიხსნა მონარქისტების კრება. კრებას დაესწრო 200 დელეგატი. კრების გახსნის წინ პარაკლისი გადაიხადა ეპისკოპოსმა სტეფანემ. პარაკლისის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა ვოსტორგოვმა. კრება გაიხსნა ეპისკოპოს სტეფანეს თავმჯდომარეობით. კრების საზოგადო სხდომების თავმჯდომარედ აირჩიეს პურიშკევიჩი, მის ამხანაგებად სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი შეჩკოვი და პროფესსორი ზალესკი. კრებაზე გარეშეებს არ დაუშვებენ.

პირველ კურიაში მოხდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნები.

დიდის ამბით აკურთხეს პირველ მესტამბის ივანე ფეოდოროვის ძეგლი. პარაკლისი გადაიხადა ეპისკოპოსმა ანასტასიმ. ძეგლის კურთხევას დაესწრო სხვა და სხვა დაწესებულებების დეპუტაციები. ძეგლი 90 გვირგვინით შეამკეს.

**ხ ო ლ ე რ ა**

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 31, გარდაიცვალა 9, ავად არის 355 კაცი.

**პეტერბურგი.** უკანასკნელ კვირის გან-მავლობაში [illegible] მაზრაში 1, დრისაში 2, მოგილევის გუბერნიაში 3, ნოვგოროდის გუბერნიაში 17, კრემენჩუგში 6, კრემენჩუგის მაზრაში 1, პონევეჟში 11, კრენგოლმში 9, იოხიმსტალში 2, ცარიცინში 2, ტვერში 16, ტვერისა, კორჩევსკისა, ნოვოტორჟსკისა, ვიშნევოლოცკისა, ბეჟეცკისა და კოლიაზინსკის მაზრებში 17, იაროსლავში 34, იაროსლავის გუბერნიაში 32 კაცი. გარდაიცვალა: არხანგელსკში 2, ბალახნაში 2, მოგილევის გუბერნიაში 5, ნოვგოროდის გუბერნიაში 10, კრემენჩუგში 6, კრემენჩუგის მაზრაში 3, პონევეჟში 5, კრენგოლმში 4, ცარიცინში 1, ტვერში 4, ტვერისა, ვიშნევოლოცკისა, ბეჟეცკისა, ნოვოტორჟსკისა, კორჩევსკისა და კოლიაზინსკის მაზრაში 6, იაროსლავში 15, იაროსლავის გუბერნიაში 17.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“.** მომავალ წელს 1 იანვარს 20 წელიწადი სრულდება, რაც ჟურნალი „ჯეჯილი“ დაარსდა. ამ ოცი წლის განმავლობაში „ჟურნალი“ სცდილობდა განევითარებინა მოზარდი თაობა, მიეცა მისთვის სამშობლო ენაზე წასაკითხი მასალა, შეეყვარებინა სამშობლო ქვეყანა და შეეთვისებინა დედა ენა. ვინც იცის, რა ძნელია ჩვენში საზოგადოდ გაზეთების და ჟურნალების გამოცემა, ადვილად წარმოიდგენს, რა დიდი შრომა და ძალა დაუხარჯავს ჟურნალის ხელმძღვანელს ქ-ნ ანასტასია წერეთლისას ამ ოცი წლის განმავლობაში. ყოველ წლიურად იბეჭდებოდა თითქმის 7200 ცალი. მაშასადამე ამ ოცი წლის განმავლობაში 144,000 წიგნაკი დაბეჭდილა და გავრცელებულა. ქ-ნ ანასტასია წერეთლისას აზრადა აქვს მიმართოს „განათლების“ საზოგადოებას და წინადადება მისცეს, მიიღოს მან თავის თავზე ჟურნალის ხელმძღვანელობა. ყოველივე ქონება ჟურნალისა,—კლიშეები, წიგნები და ჟურნალები,—საზოგადოებას გადაეცემა.

✦ **ნინოშვილის ძეგლი.** 27 სექტემბერს მოხდა ნინოშვილის ძეგლის ამგებ კომიტეტის სხდომა. განსახილველი იყო საკითხი, თუ სად [illegible] ნიშნულს ბელეტრისტს. ძეგლის აგება დაკავშირებულია იმ საკითხთან, განსვენებულის მწერლის ნეშტი იქვე დარჩება, სადაც ასაფლავია, თუ სადმე სხვაგან იქნება გადატანილი. კრებაზე ილაპარაკეს იმაზე, რომ ნეშტი ოზურგეთში იქმნას გადატანილი. მაშინ თვით ძეგლის აგების საკითხიც გადაწყდებაო. მაგრამ უმრავლესობამ უმჯობესად სცნო, ნინოშვილის ნეშტი გადმოტანილ იქმნეს ტფილისში და ძეგლიც აქ—საფლავზე დაიდგას. ეს საკითხი კომიტეტმა იმდენად დიდმნიშვნელოვანად ჩასთვალა, რომ მან მისი გადაწყვეტა ვერ იდო თავზე. კომიტეტმა სასურველადა სცნო, გაზეთის საშუალებით გამოირკვეს, თუ რას ფიქრობენ ამ საგნის შესახებ ადგილობრივ. ამასთან კომიტეტის ერთ წევრს დაევალა, მისწეროს მექანდაკე ნიკოლაძეს და გაიგოს, დაახლოვებით რა დაჯდება ძეგლი.

✦ **გილო მაჩაბელი.** გუშინ ტფილისში გარდაიცვალა იგი გიორგი (გილო) ვახტანგის ძე მაჩაბელი. ბოლო დროს წევრი იყო ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა, სადაც მუშაობდა ქართულ თეატრის საქმეების გამოსაკეთებლად. შარშან ივლისში მაჩაბელი მიიწვიეს ტფ სათავად-აზნაურო ბანკის კანცელარიის გამგედ, წინად კი მომრიგებელ შუამავლად იყო.

✦ **თავის მოწამვლა.** სიღნაღიდან გვწერენ: „27 სექტემბერს დილით აქ თავი მოიწამლა პროგიმნაზიის მასწავლებელმა ბალაშვილმა. განსვენებული სამი საათის შემდეგ გარდაიცვალა. მიზეზი თავის მოწამვლისა არ იციან“.

✦ **მატინოვის ცხედარი.** კვირას ტფილისში მოასვენეს გვამი ტფ. ქალაქის თავად ნამყოფის ა. ს. მატინოვისა. ტფ. სადგურზე დილიფვე შეიკრიბნენ ქალაქის თავის მოადგილე, გამგეობის წევრები, რამდენიმე ხმოსანი და ამქარი და პატივის მცემელნი. ცხედარი გვირგვინებით შეამკეს: ტფ. ქალაქის გამგეობამ, ტფ. საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების გამგეობამ, ფითოევისა და კომპ. საიამრო სახლმა და სხვებმა. გვირგვინი სულ 10 მდე იყო. ცხედარი სადგურიდან გამოასვენეს დილის 10 საათზე. პროცესია გაემართა მიხეილის ქუჩით, ვერის ხიდსა და გოლოვინის პროსპექტით. ერევნის მოედანზე ქალაქის სახლის წინ მცირე პანაშვიდი გადაიხადეს და შემდეგ წაასვენეს ვანქის ტაძარში. ერევნის მოედნიდან პროცესიას ბევრი ხალხი შეუერთდა. წირვა და პანაშვიდი ვანქის ტაძარში გადაიხადა სომეხთა ეპისკოპოსმა. ნაშუადღევის 2 საათზე გვამი იქვე ვანქის ტაძარის გალავანში დაჰკრძალეს. სიტყვა წარმოსთქვა ალ. ი. ხატისოვმა. ორატორმა დიდ ხანს ილაპარაკა და აღნიშნა მოღვაწეობა განსვენებულისა.

✦ **ალექსანდრე ყაზბეგის დაუბეჭდავი ლექსები.** განსვენებულ ბელეტრისტს ალექსანდრე ყაზბეგს სიცოცხლეშივე გამომცემლის გრ. ჩარკვიანისათვის გადაუცია გამოსაცემად ერთი რვეული თავის ლექსებისა. რვეულში ყოფილა 22 ჯერ დაუბეჭდავი ლექსი. რვეული მაშინ დაკარგულა და მხოლოდ ეხლა თავის ქაღალდებში აღმოუჩენია ბ-ნ ჩარკვიანს. ამ უკანასკნელს აზრადა აქვს ცალკე კრებულად გამოსცეს ეს ლექსები.

✦ **ტრამვაიზე.** როგორც ეტყობა, ტფ. ტრამვაიზე, როგორც სხვა ფირმებსა და დაწესებულებაში, ქართველებს მაგრე რიგად აღარ იკარებენ. ამ დღეებში უსახელო საზოგადოებამ 20 მოსამსახურეზე მეტი მიიღო. ვინ იცის, საიდან არ არიან ახლად მიღებულნი, მაშინ როდესაც აქ ამოდენა უადგილო ქართველი დადის. ქართველი მხოლოდ სამი მიიღეს და ისიც დიდის პროტექციისა და გამოძიების შემდეგ.

✦ **წიგნი.** კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გამოსცა ცალკე წიგნი რუსულ ენაზე ამ სათაურით: „სამეურნეო მიმოხილვა ტფილისის გუბერნიისა“. ამ გამოცემაში შეტანილია სტატისტიკური ცნობები გუბერნიის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ 1908 წ. [illegible] განკარგულებით, მდივანი საზოგადოებისა შეუდგა კერძო კორესპონდენტთა დახმარებით სტატისტიკურ ცნობების შეკრებას წლევანდელ მოსავლის შესახებ. სამწუხარო ცნობები მოდის საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან. მოსალოდნელია შიმშილი.

✦ **სხდომა.** ხვალ, 30 სექტემბერს, [illegible] სხდომა ერობის მესამე სექციისა.

✦ **საქმე სომეხ-თათართა შეტაკების შესახებ.** როგორც ამას წინად ვწერდით, ბაქოში ტფ. სამოსამართლო პალატას სესსია შეუდგა სომეხ-თათართა შეტაკების საქმის გარჩევას. ბრალდებაში მიცემულნი არიან ის პოლიციელნი, რომელნიც 1905 წელს მსახურებდნენ. დაბარებულია 170 მოწმე.

✦ **საზღვარ-გარეთელი კაპიტალისტები.** ამ ცოტა ხანში ტფილისში ჩამოვლენ საზღვარ-გარეთელ კაპიტალისტთა წარმომადგენელნი—უმთავრესად ინჟინერები და ქიმიკოსები. ამათ უნდა გამოიკვლიონ კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრენი და გაიგონ რის დამუშავება შეიძლება ჩვენს ქვეყანაში. ამისთვის ფიქრობენ დიდ ამხანაგობის დაარსებას. („ტ. ლ.“)

✦ **კატორღა.** ამ დღეებში კავ. სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე მტრედაძის, ხარჩილაშვილის, დაკიშვილის, ლუკიანოვის, პაპავაძის, ლომაურის, თეთრაშვილის და ეფემია ხომასურიძისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ივანე წუწუნაშვილის დატყვევება და იმის მამისთვის ფულის მოთხოვნა. სასამართლომ გადაუწყვიტა კატორღა: მტრედაძეს და ხარჩილაშვილს—20 წლით, დავიშვილს—18 წლით, ლუკიანოვს და პაპავაძეს—15 წლით; ერთი წლით ციხე—ლომაურსა და თეთრაშვილს, სამი თვით პოლიციასთან დაპატიმრება—ხომასურიძეს.

✦ **„მშაკის“ რედაქტორის საქმე.** ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე გაზ. „მშაკის“ დროებით რედაქტორის ამბარცუმ არაქელიანისა, რომელსაც უჩიოდა საათსაზოვი, 1908 წ. გაზეთის ერთ ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციაში ცილი დამწამაო. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი დოლუხანოვი. სასამართლომ უდანაშაულოდ იც-

# ძველი და ახალი

(ნ. ნიკოლაძისა და გ. ზდანოვიჩის პოლემიკის გამო).

„Въ Вашемъ лицѣ говоритъ
все старое, которому пришла
смерть и Вы ея боитесь“.

დეპუტატ აჯემოვის სიტყვა სათათბიროში.

არასოდეს ისე მძლავრად „ძველს“ თავი არ უჩვენებია ჩვენთვის, როგორც ამ რეაქციის დროს. ყველგან და ყველაფერში „ძველი“ და მისი ანგელოზები სცდილობენ პოზიციები დაიჭირონ, არ გაუშვან არც ერთი ადგილი, რომ თავიანთი ციხე-სიმაგრე არ ააგონ, რათა ისეთი სიმწრის დღეები აღარ განიცადონ, როგორიც განიცადეს ხალხის მოძრაობის დროს. „ახალი“ მიმალულია, ყოველ ადგილიდან დევნილია და დამარცხებული აი, დღევანდელი სურათი ჩვენის ქვეყნის ცხოვრებისა. ამ დროში ბევრს ჩამოეხადა ნიღაბი, ბევრი სოროში დამალული თხუნელა მზეზე გამოეფინა და ცხოვრებაში დირიჟორობის როლი მიიკუთნა. აიღეთ, ჩვენის ცხოვრების რა მხარეც გინდათ და ნათლად დაინახავთ, რომ რეაქციას ურცხვადა აქვს თავი წამოღებული და იმას, რასაც ვერა ჰბედავდა ან არ კადრულობდა „ძველის რეჟიმის“ დროს, დღეს თამამად ასრულებს.

საუკეთესო მაგალითს ზემოაღნიშნულის მოვლენისას გვაძლევს ერთი ფრიად დიდმნიშვნელოვანი საქმე ჩვენის ქვეყნისა—ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს საქმეები, ის ბრძოლა, რომელიც ამ საქმეების გარეშემო ტრიალებს და რომელიც, სახელმწიფო სათათბიროშიაც კი გადაიტანეს. ის კამათი, რომელიც ამ საქმეების გამო გაიმართა ორ ჩვენ ცნობილ მოღვაწის—ნ. ნიკოლაძისა და გ. ზდანოვიჩის შორის, მთელი გარემოება ამ საქმისა, ის ფარგალი, რომელშიაც იგი ტრიალებს, ნათლად გვიხატავს ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს „ძველი რეჟიმის“ კაცად და გ. ზდანოვიჩს—მომავალის, „ახალის“ კაცად, რომელსაც დღეს ყოველ კუთხიდან დამარცხებასა და გამათახებას ექადნიან.

1.

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ერთად ერთი შემოსავალი არის ჭიათურიდან ვაგონებით გაზიდულ მარგანეცზედ დადებული გადასახადი. ათ წელიწადზე მეტია, რაც არსებობს ეს საბჭო და ამ ათის წლის განმავლობაში შემოსვლია და დაუხარჯავს 1,873,125 მან. და 03 კაპ.*) (ანგარიში მოყვანილია 1908 წლის 1 იანვრამდის). ეს კარგა ძალი ფულია, მაგრამ თუ მიიღებთ მხედველობაში იმას, რომ ბაქოს ნავთის მწარმოებელთა საბჭოს კასაში ყოველ წელიწადს ორ მილიონ მანეთზე მეტი შედის, ე. ი. იმაზე მეტი, რაც შავი ქვის მრეწველთ ათის წლის განმავლობაში შემოსვლიათ, ხოლო სამხრეთ რუსეთის მრეწველთა კასის ორის წლის შემოსავალი უდრის ჭიათურის მრეწველთა საბჭოს კასის ათის წლის შემოსავალს—მაშინ დაინახავთ, რომ თითქმის არაფერს არ წარმოადგენს ის წლიური შემოსავალი (18000—21000 მან.), რომელიც ჭიათურის მრეწველთა საბჭოს განკარგულებაშია.

*) ამ წერილში მოყვანილი ყველა ცნობა ამოღებულია საბჭოს თავმჯდომარის გ. ზდანოვიჩის მოხსენებიდან, რომელიც ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს წარუდგინა 1907 წელს ამ სათაურით: „Объяснительная записка, поданная г. Мин. Торг. и Пром. по вопросу о состоянiи дѣлъ Съѣзда Марганцепромышленниковъ Председат. Сов. Съѣзда Г. Ф. Здановичемъ“.

ამ ათი წლის განმავლობაში საბჭოს შემდეგი ხარჯი გაუწევია:

| | |
|---|---|
| 1. სავალდებულო ხარჯები (პოლიციასა და სამთამადნო დაწესებულებაზე) . . . . . | 241.782 მ. 95 კ. |
| 2. გზების გაყვანა და სატ.ხნ. განყოფილება | 347.492. მ. 32 კ. |
| 3. სხვა და სხვა შენობა და მოწყობილ. | 297.256 მ. 79 კ. |
| 4. ხალხის ჯანმრთელობა და სან. დაწ. | 278.248 მ. 70 კ. |
| 5. კრების მოწვევის გამო გამოწ. ხარჯი, საბჭოს და მისი მოსამსახურეების, სარევიზ. კომ. ჯილდო | 290.421 მ. 47 კ. |
| 6. ხალ. განათლება | 176.837 მ. 23 კ. |
| 7. მუშას ყოფა-ცხოვრების გაუმჯობ. | 117.596 მ. 63 კ. |
| 8. სხვა და სხვა ხარ. | 58.377 მ. 20 კ. |
| 9. შემწეობა სხვა და სხვა დაწესებულ. და კერძო პირთ | 16.042 მ. 07 კ. |
| 10. კასსაში, ბანკში შენახული, ს.ხაზინო პალატაზე რჩება ხოლმე და სხვ. . . . . | 13.069 მ. 76 კ. |
| სულ . . | 1.837.125 მ. 03 კ. |

როცა სახელმწიფო საბჭოს 1898 წლის 2 თებერვლის დადგენილებით ეს გადასახადი ჭიათურის მრეწველთა კრებას გარდაეცა, მაშინვე განისაზღვრა ის, თუ რაზე უნდა მოეხმარა საბჭოს ეს ფული; ეს გადასახადიო,—აბბობს მუხლი ამ კანონისა,—უნდა დაიხარჯოს მთავრობის შტეიგერის შესანახავად ჭიათურის სამრეწველო რაიონში და აგრეთვე ამ მრეწველობის რაიონში პოლიციის შესანახად და ხალხის ჯანმრთელობისათვის საჭირო დაწესებულებისა და გზების გაყვანისათვის. კანონს ამასთან სახეში აქვს მიღებული კრების საბჭოს შესანახი ხარჯიც[2]). ამგვარად, საბჭო ასრულებდა კანონის მიერ დაკისრებულ მოვალეობასა და შემოსავლის 83 პროცენტზე მეტ ხარჯავდა პირდაპირ კანონში აღნიშნულ საგნებზე, ხოლო დანარჩენ 17 პროც.-ზე ნაკლებს ხარჯავდა: 1. სახალხო განათლებაზე ამ სიტყვის მეტად ფართო მნიშვნელობით, ე. ი. მუშების თეატრისათვის, ბიბლიოთეკისათვის, მთა-მადნის შტეიგერის მოსამზადებელ პრაქტიკულ კურსებისათვის, საეკკლესიო სამრეწველო სკოლისათვის, 6 კლასიან საქალაქო სასწავლებლისათვის (რომელშიაც ტეხნიკური განყოფილებაც უნდა იყოს) და სხვა და სხვა სტიპენდიებისათვის $9^1/_2$ პროც.-ზე ცოტა მეტს; 2. კანონისაგანვე მრეწველობაზე დაკისრებულ მოვალეობის აღსასრულებლად მუშების წინაშე (დაშავებულ მუშათა უზრუნველ-ყოფა დაზღვევით თუ ერთდროულ ჯილდოთი)—$6^1/_2$ პროც.-ზე ცოტა ნაკლებს. მარტო 88 პროც. დაუხარჯავს საბჭოს სხვა და სხვა დაწესებულებისა და კერძო პირების შემწეობაზე და ისიც ისეთ დაწესებულებაზე, რომელთა წინააღმდეგ არც ერთ კანონს არ შეეძლო რამე ეთქვა, და ისეთის პირებისათვის, რომელთაც მარგანეცის მრეწველობაში რაიმე ღვაწლი მიუძღვით. რუსეთ-იაპონიის ომისათვის—1000 მ., წითელ ჯვრისთვის—1000 მ., ლურჯ ჯვრისთვის—200 მან. ამ სხვა და სხვა დაწესებულების შემწეობაში ისიც კია მოხსენებული, რომ ჭიათურაში სასამართლოს გახსნისათვის საბჭომ 1000 მან. გადაიხადა და სხ.[3])

საზოგადოების საჭიროებათა მიხედვით მეტად საინტერესოა, თუ შეადარებთ, რა საერობო ხარჯი გაუწევია საბჭოს და რამდენი ფული დაუხარჯავს საერობო საჭიროებისათვის, იმ გუბერნიებთან, სადაც ერობაა შემოღებული, სადაც იგი არ არის შემოღებული, და ამიერ-კავკასიასთან, სადაც ადმინისტრაციის ხელშია საქმე.

| | შემოსავლის რამდენი % % იხარჯება | | | |
|---|---|---|---|---|
| | 34 გუბერნიაში, სადაც ერობაა შემოღებული | 14 გუბერნიაში, სადაც ერობა არაა | კავკასიის ექვსთა მხარეში | ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოში |
| 1. ხალხის ჯანმრთელობა | 27,6 % | 17,7 % | 11,6 % | 30 % მეტი |
| 2. ხალხის განათლება | 17,4 „ | 8,1 „ | 3,6 „ | 9,62 % |
| 3. გზები | 11,1 „ | 29,9 „ | 16,1 „ | 19 % |
| 4. მართვა-გამგეობა | 9,9 „ | — | — | 9,6. |

ამ ცხრილიდან ცხადადა სჩანს, რომ ათის წლის განმავლობაში საბჭოს უსრულებია საერობო თვითმმართველობის მოვალეობა და ბევრში კიდევაც გადუჭარბებია იმისთვის; მაგალ. გზებზედ, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მრეწველობისათვის, საბჭო თითქმის ორჯელ მეტს ხარჯავს, (შემოსავლის 19%) ვიდრე ერობები (შემოსავლის 11%), გაცილებით მეტს ხალხის ჯანმრთელობაზედაც (30%-ზე მეტს, ერობები კი 27,6%). ამიტომაც, მაშინ როდესაც საერობო გუბერნიებში 10,000 მცხოვრებზე მოდის 8 ლოგინი ავადმყოფისათვის, ჭიათურის რაიონში, 10,000 მცხოვრებიც რომ ვიანგარიშოთ (რაკი ჭიათურის მრეწველთა საავადმყოფოში 40 ლოგინია)—ხუთჯერ უკეთესად არის ეს საქმე დაყენებული, და თითქმის ევროპიულ წესზეა მოწყობილი, ვინაიდან ევროპაში 10,000 კაცზე უწევს 19—100 ლოგინი. ხალხის განათლებაზე კი საბჭო უფრო ნაკლებს ხარჯავს დღეს-დღეობით, ვიდრე ერობები, მაგრამ იმდენს, მაინც ხარჯავს, რასაც ერობები ხარჯავდნენ ამ ათი—ოცი წლის წინად, მე-90 წლებში, ე. ი. მათის არსებობის 25 წლის შემდეგ.

ესდენ დიდმნიშვნელოვანია ეს დაწესებულება. და უნდა მართალი სთქვას კაცმა, სული და გული ამ დაწესებულებისა არის გ. ზდანოვიჩი, რომელმაც შეჰქმნა ეს საბჭო და მთელი ეს მიმართულება მისცა. მარგანეცის მრეწველთა კრებები, რასაკვირველია, ერთფეროვანი და ერთის სახისა როდი იყო. აქ იბრძოდა ყოველთვის ორი მიმართულება. ერთის მხრით იდგნენ უცხოელი ჩარჩები, ეგრედ წოდებული ექსპორტერები, რომელნიც კომისიონერების როლს ასრულებდნენ ადგილობრივ მარგანეცის მწარმოებელსა და მარგანეცის დამხარჯველ ქარხნებს შორის. ეს ვაჟბატონები ადგილობრივ ინტერესს არ დაგიდევდნენ, მთელი მათი ყურადღება და ოცნება მათის ჯიბის მოგების გამრავლებისაკენ იყო მიმართული; ამათ პირდაპირ, მეორე მხარეს, სდგას ადგილობრივი მკვიდრი, მარ-

[2]) იხ. ზემოხსენებული „Записки“, გვ. 13—14 და 15.

[3]) იხ. იქვე დამატების გვერდი 5, ტაბულა 1.

ნო ბ-ნი არაქელიინი და სრულიად გაამართლა.

✦ **სას. სამეურნეო საზოგადოება.** შაბათს, 26 სექტემბერს, მოხდა კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა. საბჭომ საზოგადო კრება დანიშნა 2 ოქტომბრისთვის. კრებას განსახილველად წარედგინება მოხსენება ი. ს. ჯაბადარისა პურის კვალობრივ დათესვის შესახებ; ანგარიში საბჭოს მოქმედებისა სამი თვის განმავლობაში და სხვ. საბჭომ ამავე სხდომაზე განიხილა შუამდგომლობა სურამლინის საკრედიტო ამხანაგობისა, რომელსაც უთხოვნია კრედიტი გაუხსნას საზოგადოებამ აღნიშნულ ამხანაგობას და შეღავათიანის პირობით გამოიწეროს სამეურნეო იარაღი ხალხში გასავრცელებლად. საბჭომ სასურველად სცნო პროვინციის ამგვარ ამხანაგობებთან სამეურნეო იარაღის საწყობების დაარსება და დაადგინა, საზოგადოების კრებას განსახილველად წარუდგინოს აღნიშნული შუამდგომლობა მოხსენებით, რომ იგი დაკმაყოფილებულ იქნეს.

✦ **ეროვნული დღესასწაული.** „კასპ“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს კულუარებში ხმა დადის, ამ მოკლე ხანში მთავრობა 17 ოქტომბრის დღეს ოფიციალურად რუსეთის ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადებსო.

✦ **სამეურნეო საზ. წესდების შეცვლა.** ამას წინად კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, საზოგადოების წევრთა კრების დადგენილების თანახმად, შუამდგომლობა აღძრა საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ. ცვლილება შეეხება საწევრო ფულის დაკლებას (10 მ. იყო, უნდა 5 მ. იყოს) და სხვას. ამ შუამდგომლობის აღძვრიდან დღემდე საწევრო ფული აღარავის გადაუხდია.

✦ **შემწეობის მოსპობა.** ალიბეგოვის დირექტორობის დროს ტრამვაის 60-მდე კონდუქტორ-ვატმანი გააძევეს ტფილისიდან ცივ ქვეყნებისაკენ, და ვინ იცის, რისათვის. მათი ცოლშვილი და ოჯახობა უმწეოდ დარჩნენ. მათ თითო თუმანი ეძლეოდათ, მაგრამ მოვიდა ახალი დირექტორი ბატაი და მოუსპო მათ ეს ფულიც.

✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე სხვათა შორის, თათბირი იქონია წარმოდგენების დროზე დაწყებისა და გათავების შესახებ. გამგეობამ განსაზღვრა დრო როგორც ანტრაქტებისა, ისე წარმოდგენების დაწყებისა. თუ ვინიცობაა წარმოდგენა 8 საათზე არ დაიწყო, რეჟისორი დაჯარიმებული იქნება.

✦ ნიკიტის სამეურნეო სასწავლებელში კურს დასრულებულმა მიხეილ ქარცივაძემ სთხოვა კავკ. სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, დანიშნოს ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის უფროს მებაღის თანამდებობაზე.

✦ კავკ. სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დარბაზში 30 სექტემბერს სადამოთ დანიშნულია სხდომა კავკასიის მეურნეთა კრების მომწყობელ საორგანიზაციო ბიუროსი.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **საჯარო ვაჭრობა.** 29 ოქტომბერს, 12 საათზე, ადგილობრივ საურთიერთო ბანკის დარბაზში მოხდება საჯარო ვაჭრობა ვადაზე გამოუსყიდველ დაგირავებულ ნივთებისა.

✦ **ქალაქის საბჭო.** ქალაქის საბჭოს სხდომა კიდევ არ შესდგა ხმოსანთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობისა გამო. თუმცა ქალაქის გამგეობამ აქეთ-იქით აფრინა შიკრიკები ხმოსნების გასაყვანად, მაგრამ ვერას გახდა: სანამ ისინი ვისმე მოიყვანდნენ, მოსულნიც გაიპარნენ. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: გუბერნატორის წინადადება შესახებ იმისა, რომ ქუთაისში მყოფს ჯარს ქალაქმა თავის ხარჯით აძლიოს წყალი; მოხსენება სალორიის ტყის მოჭრის შედეგის შესახებ, საგანგებო კომისიის მოხსენება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურე პირთათვის ნორმალურ შესვენების სავალდებულო დადგენილების შესახებ; ადგილობრივ ვაჭრების და პარიკმახერების პროტესტი კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტის წინააღმდეგ; ყასბების თხოვნა ხორცის ნიხრის მომატების შესახებ. უკანასკნელთა თხოვნა განიხილა სამაზრო კომისიამ და დაადგინა, რომ ერთი კაპეიკი მიემატოს ოყაზე არსებულ ნიხრს, ე. ი. პირველ ხარისხის მორეკილ საქონლის ხორცი უნდა გაიყიდოს 11 კაპ., მეორესი—10 კაპ. გირვანქა, ადგილობრივ საქონლის ხორცი—პირველ ხარისხის—9 კაპ., მეორესი—8 კაპ.; ძუძუმწოვარა ხბოს ხორცი—12 კაპ., მოზრდილ ხბოს ხორცი და ცხვრის ხორცი—11 კაპ., სუკი—18 კაპ., ღორის ხორცი—10 კაპ. და კამეჩის—7 კაპ. ეს ნიხრი უნდა დარჩეს უცვლელად მდგომარე წლის 1 დეკემბრამდის. კომისიამ ამასთან დაადგინა: დაევალოს ყასბებს, რომ დუქნებში ცალ-ცალკე ჩამოჰკიდონ მორეკილისა და ადგილობრივ საქონლის ხორცი, რომ გაყიდვის დროს არ აურიოს ერთმანეთში და არ მოტყუვდეს მყიდველი.

✦ **ახალი ექიმი.** ხერსონის გუბერნის ტირასპოლის მაზრის საერობო ექიმი კაპიტონ მეუნარგია დაინიშნა წალენჯიხის საავადმყოფოს ექიმად ზუგდიდის მაზრაში.

## სპარსეთი

**ქალთა მოძრაობა და კურსების გახსნა.**

რადიკალურ გაზ. „ირან“-ში ხელახლად იბეჭდება წერილები სპარსელ ქალებისა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თუ სპარსელი ქალი არ განთავისუფლდება, სპარსეთი წინ ვერ წაიწევსო.

ევროპიულად განათლებულ ახალგაზდა სპარსელების ჯგუფმა გახსნა სალამოს კურსები ევროპიულ ენებისა, საზოგადო საგნებისა და იურიდიულ მეცნიერების სასწავლებლად; აპირებენ აგრეთვე ბევრ პედაგოგიურ კავშირების დაარსებას. კურსებზე სწავლა უფასოა.

**ოსმალეთის ჯარი სპარსეთში.**

ოსმალეთის მთავრობამ აღუთქვა რუსეთისა და ინგლისის ელჩებს, ჩვენს ჯარს აუკრძალავთ სპარსეთის საზღვარზე გადასვლას ყაჩაღების სადევნელადაო. („ზ.“)

**არდებილის ოლქის დამშვიდება.**

სათარ-ხანის მოსვლის შემდეგ არდებილის ოლქში მშვიდობიანობა დამყარდა. შახსევენების ბრბოები მუღანისკენ წავიდნენ. ცარცვა-გლეჯა მოისპო.

**პოლკოვნიკ ლიახოვის „შეწირულება“.**

პოლკოვნიკ ლიახოვმა 20 ათასი თუმანი (თუმანი—2 მან.) გაუგზავნა სპარსეთის ყაზახთა ბრიგადის უფროსს ბლაზნოვს სპარსელ აფიცრების შვილთა აღსაზრდელად. ლიახოვი სწერდა ბლაზნოვს, ეგ ფული ყაზახთა ბრიგადის სახარჯო ფულს გადაავარჩინეო. ბლაზნოვი ამბობს, ბრიგადის დავთრებში არსად არა სწერია დარჩენილი ფულიო. სპარსეთიდან რომ მიდიოდა, ლიახოვმა არავის არ ჩააბარა ფულის ანგარიშიო.

## ოსმალეთის ამბები

**პრივილეგიების გაუქმება.**

ოსმალეთის მთავრობა აპირებს იმ ზოგიერთ პრივილეგიების გაუქმებას, რომლებიც მოპოვებული ჰქონდათ დიდ სახელმწიფოებს ოსმალეთის ძველის მთავრობისაგან. სხვათა შორის გაუქმებულ იქნება ის კონცესია, რომლის ძალით რუსეთს მცირე აზიაში რკინის გზების აშენების უფლება ჰქონდა მიცემული.

**ოსმალეთის ჯარის რეორგანიზაცია.**

გერმანელი გენერალი ჰოლცი ხელახლად მიდის ოსმალეთში იქაურ ჯარის უმთავრეს ინსტრუქტორად.

**სომხის პატრიარქის საქმე.**

ოსმალეთის მთავრობამ უპასუხა სომხის პატრიარქს, ყოველი ღონისძიება მივიღე, რომ ისეთი ამბები, როგორც ადანაში მოხდა, აღარ მოხდესო და იმედი გვაქვს, თქვენს თანამდებობაზე დარჩებითო.

პატრიარქს უთქვამს ჟურნალისტებისთვის: მთავრობის პასუხი არ მაკმაყოფილებსო; იქნება დავრჩე ჩემს თანამდებობაზე, მაგრამ მაინც ვსთხოვ სომეხთა ეროვნულ საბჭოს, რომ ამაზე თავისი აზრი გამოსთქვასო.

**კონფერენცია კრიტის საქმეზე.**

რუსეთის და საფრანგეთის მთავრობებმა შეატყობინეს ოსმალეთის მთავრობას; ჩვენ წინააღმდეგნი ვართ იმისი, რომ კრიტის საქმის გადაწყვეტა დიდ სახელმწიფოთა კონფერენციას მიენდოსო.

## ქართველ სტუდენტთა კავშირის გამო

„სტუდენტთა კავშირის შესახებ“— ამ სათაურით გაზეთ „ნაკი“-ს მე-37, 38 და 39 ნომრებში დაიბეჭდა ბ-ნ ს. ქავთარაძის სამი წერილი, რომელიც, როგორც ავტორი ამბობს, გამოწვეულია შინაურის მიერ „დროების“ მე-135 ნომერში მოთავსებულ წერილით ამავე კავშირის შესახებ. შინაური თავის წერილში, აღნიშნავს რა მალორუსულ სტუდენტთა კულტურულ კავშირის შექმნის ფაქტს, გამოსთქვამს სურვილს ამავე ხასიათის კავშირის დაარსებისას ქართ. სტუდენტთა შორისაც და მოჰყავს საერთო მოსაზრებანი, რომელნიც, მისის აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს მომავალ ქართ. სტუდენტთა ორგანიზაციას. შ. ქავთარაძე დაწვრილებით იხილავს შინაურის წერილს, „კრიტიკის ქარ-ცეცხლში“ ატარებს ყველა იმის მიერ გამოთქმულ აზრს და უმთავრესად ჩერდება ქართ. სტ-თა მომავალ კავშირის იდეურ და ორგანიზაციულ მხარეებზე. ეხება რა თვითეულს მათგანს ცალ-ცალკე, „ჩვენი კრიტიკოსი“ ქვა-ქვაზე აღარ აყენებს და გვიმტკიცებს მომავალ ქართ. სტ—თა კავშირის უაზრობას, შეუძლებლობას და მათ ინიციატორთა ფანტაზიორობას.

თავის აზრის დასამტკიცებლად, რასაკვირველია, ავტორი არასა ზოგავს და მთელ თავის ცოდნის ტვირთს წამალს ზედ აყრის: აქ შეხვდებით ფილოსოფიურ საკითხსაც: საზოგადოების წევრთა შორის სულიერად დაახლოვებას საჭიროა რაიმე ინტერესი უძღოდეს წინათ, გვიმტკიცებს ავტორი, თუმცა ამის წინააღმდეგ შინაურის წერილში მე ვერა აღმოვაჩინე რა;—კლასსთა ბრძოლის საკითხსაც, ცხოვრებიდან ამოღებულ ფაქტებსაც და სხვასაც. რასაკვირველია, ამის წინააღმდეგ არავის არაფერი ექნებოდა, რომ საჭირო უოფილიყო და თვით ფაქტებს თავისებურად არ ალაპარაკებდეს თავის წინადებულ აზრის გასამართლებლად, რისგამოც იმდენად ამახინჯებს მათ, რომ თვითონაც ვეღარას ამჩნევს, რა წინააღმდეგობაში ვარდება მსჯელობის დროს. მაგ., როცა ბ-ნ ს. ქავთარაძეს სჭირდება, გამოდის, რომ დღევანდელ პირობებში პოლიტიკურადაც კი შეიძლება მუშაობა და ამავე დროს შინაურის აზრს კავშირის მოქმედების შესახებ უთუოდ შეუძლებლად სცნობს. შინაურის აზრი, რომ რევოლიუციამ ცხად-ჰყო სუსტი მხარეები ხალხის განვითარებაში, ქავთარაძეს შეუწყნარებლად მიაჩნია, მაგრამ თუ ესევე თვით ბ-ნ ს. ქავთარაძეს დასჭირდა თავის აზრების დასამტკიცებლად—შესაწყნარებელად. საერთოდ, უნდა ვთქვათ, რომ ვინც ბ-ნ ქავთარაძის წერილს პატარა გულდასმით წაიკითხავს, განსაკუთრებით-კი აღძრულ საკითხის მცოდნე, უეჭველად გაკვირვებას მიეცემა და, რაც უფრო შეუწყნარებელია, მის მიერ აღძრულ საკამათო საგნის თითქმის სრულ უცოდინარობას დაინახავს. და ეს მაშინ, როდესაც, როგორც თვით სამართლიანად შენიშნავს, ხსენებული საკითხი დღეს ქარ. სტ—თა შორის მორიგ საკითხად არის გადაქცეული. ასეთის მომზადებით მორიგ საკითხის დახვედრა და მით უმეტეს საქვეყნოდ გამოსვლა იმის უპასუხისმგებლად, ბევრი რომ არა ვთქვათ, საკადრისი არ არის.

ბ-ნ ს. ქავთარაძის წერილი პირადად მე მაინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი ეხება მომავალ კავშირის პრინციპებს და სცდილობს მის უარყოფით გადაწყვეტას. რაც შეეხება დანარჩენ კრიტიკას შინაურის წერილისას, ეს ავტორის საქმეა და, თუ საჭიროდ სცნობს, უეჭველია კიდევაც უპასუხებს[*]. მე თუ მაინც აქ გაკვრით საერთოდ ვეხები ქავთარაძის წერილს, ეს იმიტომ რომ ვაცნობო მკითხველს მისი საერთო ხასიათი.

როგორც ზემოდ შევნიშნე ბ-ნ ს. ქავთარაძეს აღძრული საკითხი მეტად ბუნდოვანად [illegible] მის აზრით ვერც „შინაურის“ წერილი იძლევა [illegible] ვებით გაცნობისას. იმის წერილში, როგორც ზემოდვე აღვნიშნე, მხოლოდ ზოგადი მოსაზრებანი და სურვილებია გამოთქმული; ამიტომ, ვიდრე შევუდგებოდეთ ბ-ნ ქავთარაძის მიერ კავშირის პრინციპების წინააღმდეგ მოყვანილ არგუმენტაციის განხილვას, საჭიროდ მიგვაჩნია, დაახლოვებით გავაცნოთ მკითხველს დღევანდელი მდგომარეობა საკითხისა, რამდენადაც, რასაკვირველია, შეიძლება მისი გამორკვევა იმ აზრთა გაზიარებიდან წერილობით და სიტყვიერად, რომელიც მოხდა ქ. სტ—თა შორის.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ სტუდენტობა საერთოდ და ქართველი სტუდენტობა კერძოდ არ წარმოადგენს საზოგადოების დანარჩენ ნაწილებისაგან განკერძოებულ, სივრცის და დროის გარეშე მდგომ რაიმე ჯგუფს. იგი, როგორც განსაზღვრულ საზოგადოების შემადგენელი ნაწილი, სცხოვრობს იმის ცხოვრებით და ექვემდებარება ყველა მასში მომქმედ პირობას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამა თუ იმ მიმდინარეობას ცხოვრებისას სტუდენტობა, როგორც უფრო მგრძნობიარე ნაწილი, უფრო მეტის სისწრაფით და სიძლიერით განიცდის ხოლმე. როგორც რუსეთის სტუდენტთა ცხოვრების ისტორიის უმთავრეს მომენტების განხილვა გვიჩვენებს, მას უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონია და აქვს დღესაც პროგრესიულ ინტელიგენციასთან, რომელთანაც იგი მუდამ ხელი-ხელ ჩაბმული მიისწრაფის საუკეთესო მომავალისაკენ. ასე იყო მე-60 წლებში, როდესაც სტ—ობა მაშინდელ საუკეთესო ინტელიგენციასთან ერთად იბრძოდა ფეოდალურ წესწყობილების დასანგრევად. ამავე კავშირს ვხედავთ სტუდენტობის ცხოვრებას და საზოგადოების შორის მე-80 წლებიდან დაწყებულ რევოლიუციონურ მოძრაობამდე. ამ დროის სტუდენტთა უფერული ცხოვრება სავსებით შეეფერება მაშინდელ საზოგადოებრივ მდგომარეობას; რევოლიუციონური ხანა, რომლის მოწამენიც ჩვენ ყველანი ვიყავით, ხომ საუცხოვო ილიუსტრაცია ამ კავშირისა საზოგადოებასა და სტუდ—თა შორის. ერთის სიტყვით, ასე ყოფილა აქამდის და არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასევე არ იქნება დღესაც და შემდეგშიაც. და მართლაც განხილვა დღევანდელ მომენტისა დაგვანახვებს, რომ სტ—ობა არა ღალატობს თავის ტრადიციას და სცდილობს ფეხ-და-ფეხ მიჰყვეს ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს. ამავე ინტელიგენციას ეკუთვნის კულტურულ მუშაობის საჭიროების ლოზუნგის საზოგადოებაში პირველად გავრცელება, რომელი ლოზუნგიც გახდა ერთ უმთავრეს მიზნად სტ—ების მომავალ კავშირისა.

ყველას ჯერ კიდევ კარგად ახსოვს პირველი მომენტი დღევანდელ რეაქციონურ ხანისა. ის იყო ერთბაშად თითქოს ცხოვრების მაჯის ცემა სრულიად შესწყდაო, მოუხეშავმა ძალამ სიკვდილის სუდარა გადააფარა საზოგადოებრივ ცხოვრებას; მისი საუკეთესო ნაწილი რაღაცა გაუვალ ბურუსში ჰგრძნობდა თავს, მოლოდინსა და სინამდვილის შორის აღმართული უფსკრული სულ სასოწარკვეთილებაში აგდებდა ხალხს, მასსაში მაგრა ფეხს იდგამდა გახრწნილება და მთელი საზოგადოება ამ ხანად რაღაცა გაუვალ გზის პირას იდგა. ამასვე განიცდიდა სტუდენტობა. მაგრამ საბედნიეროდ, საზოგადოების საუკეთესო ნაწილი მალე გამოვიდა ბურუსიდან, თვალი მოიფშვნიტა და დაიწყო ძიება. ეს წერილი, უწევს რა შესაფერ ანგარიშს წარსულს, იღებს მხედველობაში ახალ პირობებს, ზომავს თავის საზომავით და ამის დაგვარად დამოთხოვს საზოგადოებას აწყდის ახალ ლოზუნგებს, რომელთა შორის თავის მნიშვნელობით პირველი ადგილი ეკუთვნის ლოზუნგს კულტურულის მუშაობისას. როგორც სხვა მომენტების დროს სტ—ბა არა თუ არ ჩამორჩა საზოგადო მიმდინარეობას, არამედ დიდის მხნეობით

---

განეცის მწარმოებელი, უმეტესად წვრილი მწარმოებელი, მარგანეცის დამმუშავებელი და მარგანეციან ადგილის პატრონი. საბჭო იმასა სცდილობდა, რომ მარგანეცზე დადებული გადასახადი გასძღოლოდა ადგილობრივ მრავალგვარ კულტურულსა და სამრეწველო საჭიროებას, ხოლო—რაკი მოთხოვნილება ამ საჭიროებისა წლიდან წლამდე იზრდებოდა, ამისათვის საბჭო სცდილობდა, რომ ამ ხარჯების დასაფარავად შემოსავალი გაზრდილიყო მარგანეცზე დადებულ გადასახადის მომატებით, რასაკვირველია, იმ ზომამდე, რომ მრეწველობას არა დაშავებოდა-რა. უცხოელი ჩარჩები და მათი წარმომადგენელი „პრიკაშჩიკები“ (უცხოელ ფირმებს, რომელნიც ქვას ეზიდებიან საზღვარგარედ, აქ ვექილი—„პრიკაშჩიკები“ ჰყავთ) ყოველთვის წინააღმდეგნი იყვნენ ამ გადასახადის მომატებისა; მათის აზრით ყოველივე ადგილობრივ კულტურულ საჭიროების დაკმაყოფილება ზედმეტი ბარგია, ექსპორტერების ჯიბის გაქურდვა და გაძარცვაა. მათ ყოველთვის უნდოდათ საბჭოსათვის მიეცათ ვიწრო პროფესსიონალური სახე და საბჭოსათვის დაეკისრებინათ ისეთი მოვალეობა, რომელსაც ვერსად წაუვიდოდნენ და სულ ერთია მაინც მათ ჯიბეს აწვა (გზების კეთება, მუშების დაზღვევა, რომელსაც კანონი პირადად კერძო მწარმოებელს ავალებს და სხვა); ხოლო სკოლები, ხალხის ჯანმრთელობა და სხვა ამგვარი საქმე მათ გულზე დანად ესობოდათ, ადგილობრივ მწარმოებლებს კი სამრეწველო საჭიროებასთან ერთად ამგვარ კულტურულ საჭიროების დაკმაყოფილება უდიდეს საქმედ მიაჩნდათ და ყოველთვის მხარს უჭერდნენ საბჭოს ამ მიმართულებას[3].

იმ თავითვე დაიწყო ბრძოლა ადგილობრივ ინტერესების წარმომადგენლისა და უცხო შემოსულ ჩარჩთა მეწვრილმანურ შეხედულების შორის და ეს ბრძოლა ამ უკანასკნელ დროს ყოველსავე მართებულების საზღვარს გადასცდა. ვიდრე კანონიერისა და ჩვეულებრივის საშუალებით სარგებლობდა მებრძოლი მხარე, უცხოელი ჩარჩები ყოველთვის დამარცხებულნი რჩებოდნენ, ვინაიდან ადგილობრივი მწარმოებლები ინსტინქტიურად ჰგრძნობდნენ თავიანთ ინტერესს და ამ ინტერესის გამომხატველ საბჭოს და იმის თავმჯდომარეს ზდანოვიჩს ყოველთვის მხარს უჭერდნენ. ძალაც შესწევდათ, ვინაიდან რიცხვით კრებებზე ყოველთვის ადგილობრივი მწარმოებლები სჭარბობდნენ. ამიტომაც ყოველ ჩვეულებრივ კრებაზე უცხოელი ჩარჩები წაგებულნი იყვნენ. რაკი ჩვეულებრივმა საშუალებამ—თუგინდაც არც ეს ჩვეულებრივი იყო ყოველთვის სპეტაკი—ვეღარა გასჭრა, ამ ჩარჩებმა მიმართეს იმ საშუალებას, რომელსაც მარტო რუსეთში აქვს გასავალი, ე. ი. დაიწყეს ჩუმ-ჩუმი ინტრიგა და მტრობა, „კანცელიარიების“ ხელმძღვანელებთან მისვლა-მოსვლა და იმ ნიადაგზე დააყენეს საკითხი, რომელზედაც ბრძოლა რიგიანის ადამიანისა და დაწესებულებისათვის ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელია; ამბობდნენ: საბჭო „რევოლიუციას“ ახარჯებს ფულსაო, ადგილობრივი მრეწველები უვიცი და უგუნური ხალხია, მათ არა გაეგებათ რა საქმისაო—და სხვა ამგვარ ლათაიებს.

ამას, რასაკვირველია, მარტო ორიოდე უცხოელი ჩარჩი ვერ გაჰბედავდა და ასეთს თავხედობას ვერ შესძლებდა, რომ ადგილობრივ ელემენტებშიაც არ მოეპოებინათ ორიოდე მომხრე და გამამხნევებელი. საქმე ის არის, რომ მარგანეცის მრეწველთა საბჭოს, როგორც ერთ დიდ დაწესებულებას, მრავალი პირადი მტერი ჰყავს და შეუძლებელიც არის ასე არ იყოს. ყოველი სამსახურიდან ურიგო საქციელისათვის დათხოვნილი მოსამსახურე, ყოველი პირი, რომლის გაუმაძღარ მადასაც საბჭომ ანგარიში არ გაუწია, რასაკვირველია უკმაყოფილოთა ჯგუფს ავსებდა და ყოველსავე საშუალებასა ხმარობდა, რომ საბჭოსთვის რაიმე ვნება მიეყენებინა. ამასთან, როგორც ყოველგან, ადგილობრივ მწარმოებელთა შორისაც, მოიპოვება ორიოდე უბადრუკი კაცი, რომელთაც გაბერილი თავმოყვარეობა აქვთ და სულიერი ძალა კი ჰიაზედაც ნაკლები. ესენიც უკმაყოფილოთა რაზმში ჩაეწერნენ.

მთელი ეს ჯგუფი უცხოელ ჩარჩებთან ერთად რიცხვითაც და სხვა გონებრივის და ზნეობრივის ძალითაც იმდენად უბადრუკი და სუსტი იყო, რომ ყოველთვის სასტიკად მარცხდებოდა წესიერ ბრძოლის დროს, ვინაიდან ადგილობრივი მწარმოებლები მათ მოსვლას კლდესავით უხვდებოდნენ. რაკი ამ ნიადაგზედ ვეღარა მოახერხეს რა, მიმართეს საზიზღარ საშუალებებს. ერთმა ისარგებლა ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ნაცნობობით, მეორემ ამ „დიდის ნაცნობის“ მოხელეებით და ლეგენდა იმის შესახებ, რომ საბჭო „რევოლიუციაზედ“ ხარჯავს თავისს შემოსავალსაო, ისეთს წრეებში გავრცელდა და ისეთის სიამოვნებით იქმნა მიღებული, რომ საბჭოს მტრების სურვილის შესრულებას აღარაფერი აღარ დაუდგებოდა წინ.

როგორც ყოველსავე რეაქციონურ პსიხოზს, ამასაც თავისი ამქრები გამოუჩნდა უმაღლესს საკანონმდებლო დაწესებულებაშიაცკი, და ვინ იქმნებოდა ეს ამქარი, თუ არა დეპ. მარკოვი და კომპანია. სათათბიროს კათედრიდანაც კი გაისმა, საბჭო თავისს შემოსავალს „რევოლიუციას“ ანდომებსო და ამის დამამტკიცებელ საბუთად ის მოიყვანეს, რომ საბჭო ფულს ხარჯავს „უვიც ქართველთა განათლებაზედა“-ო (თითქო ამის მომჩივარი მარკოვი ინგლისელი იყოს, ან შვედი, და არა თვითვე უვიცი რუსი, როგორც ყოველი, ვინც რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომად ირიცხება) და „ილია ჭავჭავაძის დასაფლავების მანიფესტაციებზედ“[4] ფლანგავს მრეწველების გადასახადსაო. ეს კი ისეთი ბრალდებაა, რომლის წინააღმდეგ საბჭოს არაფრის თქმა არ შეუძლიან. საბჭო ყოველთვის სცდილობდა ადგილობრივ მკვიდრთა განათლებისათვის სამსახური გაეწია და ამით უსათუოდ თავიც მოსწონს. საბჭო აგრეთვე სიამაყით განაცხადებს, ვიდრე საბჭო და ჭიათურის მრეწველთა კრება ქართველების ხელში იქმნება, რომ ილია ჭავჭავაძისთანა კაცის სახელის პატივისცემისათვის არას დაზოგავს. მაშასადამე, ბრალდება, დამტკიცებულია. რუსეთის ბიუროკრატიისათვის ეხები სრულიად საკმაო საბუთია იმისათვის, რომ საბჭო აღიაროს რევოლიუციონურის მიმართულების მიმდევრად, თუმცა, როგორც ზევითაც დავინახეთ, არც თუ ისე ბევრი დახარჯულა „უვიც ქართველთა“ გასანათლებლად. სულ შემოსავლის 10% იხარჯება ამ საგანზე, მაშინ როდესაც ერობები 17% ხარჯავენ ამავე საქმეზე. განსხვავება მხოლოდ ერთშია: იქ „შეგნებულ რუსის“ გასანათლებლად იხარჯება ფული, აქ კი „უვიც ქართველთათვის.“ აქ გასაკვირველი არაფერია. ჩვენ ჩვეულნი ვართ ასეთს მოპყრობას და სხვაგვარი ქცევა გაგვაკვირვებდა აქ სასაცილო და სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი ადგილობრივი მკვიდრიც კი ეწევა ამ ნიადაგზე აგიტაციას...

**არა მრეწველი**

(შემდეგი იქნება)

3) სადაც კი არსებობს მრეწველთა საბჭო (ბაქოსა, სამხრეთ რუსეთში და სხვ.) ყველგან იგი ვიწრო პროფესსიონალურ ფარგლიდან გამოდის და სცდილობს ადგილობრივ კულტურულ ინტერესებს ემსახუროს.

4) იხ. „Кавказскій Запросъ“, ტფილ. 1909 წ., ნნ. 204 და 205.

*) ამ წერილის დაგვიანების მიზეზი, სხვათა შორის, ის იყო, რომ უცდიდი იმის პასუხს.

შეუდგა ამ მხრივ მეცადინეობას: უნივერსიტეტები თუ წინად იყო გადაქცეული, შემდეგ სხვა და სხვა გვარ სამეცნიერო წრეებით გაივსო (რასაკვირველია ვიდრე მკაცრი თავის სასტიკ კანონებს სისრულეში მოიყვანდა).

**გ. დადეშქელიანი.**

(შემდეგი იქნება)

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირა საღამოს დაიწყო ტფილისში ქართულ წარმოდგენების სეზონი. პირველმა წარმოდგენამ მრავალი ხალხი მიიზიდა—თეატრი სავსე იყო. საერთოდ „სამშობლო"-მ რიგიანად ჩაიარა. დაწვრილებით ხვალ.

---

**სახალხო წარმოდგენა.** შაბათს, 26 სექტემბერს, სახალხო სახლში წარმოადგინეს პროტოპოპოვის პიესა „ცხოვრების გარეშე". ამ პიესამ ბევრად უფრო სუსტად ჩაიარა, ვიდრე სექციის მიერ ამ სეზონში დადგმულმა პირველმა ორმა პიესამ. სწორე გითხრათ, სრულებით არ მოველოდით ამას. ეს პიესა თანამედროვეა, მეტად მარტივი და ბევრად უფრო ადვილი წარმოსადგენია, ვიდრე, მაგალითად, შილლერის „ყაჩაღები" და შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება". პირიქით, თეატრში რომ მივდიოდით, ვფიქრობდით, რომ სწორედ ამ პიესას წარმოადგენდნენ უნაკლულოდ-მეთქი. იმედი არ გაგვიმართლდა, და, ჩვენის აზრით, ამისი უმთავრესი მიზეზი მოუმზადებლობა იყო. არც შესაფერი ანსამბლი სჩანდა და არც კერძოდ მოთამაშეებს ეტყობოდათ დაკვირვება და როლების გაზეპირება. ხშირად ერთიმეორეს სიტყვებსა სტაცებდა, ზოგი კიდევ სათქმელს აგვიანებდა, ზოგს ძალიან ხშირად ენა უბორძიკდებოდა...

სხვებზე უფრო კარგად ჩაატარეს მეოთხე მოქმედება. მესამე მოქმედებაში სუსტმა ქიქოძის ასულმა (პოლია) აქ უფრო სწორე ტონი აიღო და გოცირიძესთან ერთად (ოსიპ), დაკვირვებულად თამაშობდა, შექმნა გულწრფელობისა და ბუნებრივობის ატმოსფერა... ამ სცენამ ბევრ დამსწრეს აუჩუყა გული. დ. ბაქრაძეს, რომ დაჰკვირვებოდა, უფრო კარგად შეეძლო მსახურის იაკობის როლის ასრულება. მის მიერ განპიროვნებული იაკობი უფრო უჰკუო და გულ-უბრყვილო კაცი იყო, ვიდრე ბატონის კარზე გაქნილი და გარყვნილი სალახანა. ს. პეპანოვი გარეგნობით არ შეეფერებოდა იურის: საჭირო იყო მეტი ბრწყინვალება და რიხი. კერძოდ ჩვენ მოგვეწონა დუნიას როლის ამსრულებელი თ. თამარიშვილი: იმის თამაშს ახასიათებს ძალა-დაუტანებლობა და ბუნებრივობა, ეს კი პირველი ღირსებაა სცენის მუშაკისა. რიგიანი იყო ი. ზურაბიშვილი (ტატარცევი). პირველად ვნახეთ სცენაზე ამ საღამოთი ე. ციმაკურიძე—ნატალია სტაროდუბცევის როლში. ეტყობოდა ღელავდა, თუმცა როლი არ გაუფუჭებია.

თეატრი კვლავ სავსე იყო: შემდეგი სახალხო წარმოდგენა 5 ოქტომბერს.

---

**ქუთაისი.** 26 სექტემბერს ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა ხელმეორედ წარმოადგინა სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებული ცნობილი პიესა „ვიდრე ხვალ, უფალო", თარგმანი აკაკისა. წარმოდგენა იაფფასიანი, სახალხო იყო, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ რომ „ხალხს" ვუწოდებთ, მცხოვრებთა ის ნაწილი ნაკლებად იყო თეატრში. წარმოდგენას ახლა კიდევ უფრო დიდი საზოგადოება დაესწრო, ვიდრე პირველად. წარმოდგენამ საზოგადოდ ახლაც მშვენივრად ჩაიარა; ზოგიერთი სცენა უკეთესადაც იყო მოწყობილი, როგორც, მაგალითად: ქრისტიანების წამება, არენაზე ურსის ბრძოლა ხართან, პეტრონიუსის სიკვდილი და სხვ. მსახიობთა შორის როლები ახლაც წინანდებულად იყო განაწილებული. ამიტომაც ისინი სცენაზე უფრო თავისუფლად ჰგრძნობდნენ თავს. მხოლოდ ევნიკას როლს, ნ. ჩხეიძის ასულის ნაცვლად, ასრულებდა ბ. ასათიანის ასული, რომელსაც პირველად ვხედავთ ქუთაისის სცენაზე. მან, რასაკვირველია, ვერ დასძლია ეს როლი და განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში ვერ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება: სცენაზე უხერხულად ჰგრძნობდა თავს; ტანიც მეტად უხერხულად აიღო და მთელი მოქმედების განმავლობაში ხმის გამართვა ვეღარ მოახერხა. სამაგიეროდ უკანასკნელ მოქმედებაში უფრო მოხდენილად თამაშობდა: ტონსაც მიაგნო და სცენაზედაც უფრო თამამად ეჭირა თავი. ასათიანის ასული მოხდენილი, თვალტანადია, ხმაც რიგიანი აქვს. პირველადვე ისეთ საპასუხო როლში გამოსვლა, როგორიცაა ევნიკას როლი, დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს, როგორც თვითონ მას, ისე—და განსაკუთრებით—პ-ნს რეჟისორს. სასურველია, სხვა, უფრო მარტივს როლებში ვნახოთ ჯერ-ჯერობით ასათიანის ასული.

# სასამართლო

28 ენკენისთვეს ოლქის სასამართლომ გარჩია საქმე ტფ. მოქალაქის ქ-ნ ბისერესა, რომელსაც ჰბრალდებოდა პოლიციელების შეურაცხყოფა სამსახურის აღსრულების დროს. საქმე ასე ყოფილა: ქ-ნი მისერი მისულა მე-10 უბნის სამმართველოში მოსალაპარაკებლად საქალაქო გადასახადის შესახებ. უწყება რამდენიმე ხნის წინად მიეღო. მიუმართავს ბოქაულის თანაშემწისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელს არ მოუცდია და გასულა როდესაც ბოქაული (რომელიც იქვე კარებში შეხვედრია) შეჰკითხებია რა გნებავთო, მას შემდეგი უთქვამს: თანაშემწეს უნდა, რო ქრთამი მივცეო. ამის შესახებ ბოქაულს აქტი შეუდგენია და უთხოვნია ოლქის სასამართლოსთვის მისი პასუხის გებაში მიცემა. სასამართლოში ფიცის ქვეშ ესევე დაამოწმეს ბოქაულმა ლევაშოვმა და ბოქაულის თანაშემწემ პილენკომ. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ქ-ნი ბისერე ბოქაულის თანაშემწის პილენკოს სამსახურის აღსრულების დროს შეურაცხყოფაში და მიუსაჯა 5 მან. დაჯარიმება ან ერთი დღით დატუსაღება.

# რუსეთი

**✦ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი შილო.** დეპუტატი შილო შრომის ჯგუფს ეკუთვნის. შილო პრიამურის მხრიდან არის არჩეული. ადგილობრივი ადმინისტრაცია ბევრს ეცადა, რომ სამართალში მიეცა შილო, მაგრამ ამაოდ. დეპუტატ შილოს არალეგალურ ლიტერატურის გავრცელებას აბრალებდნენ, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს. რაკი ეს ვერ მოახერხეს, ახლა სხვანაირ ხერხს მიმართეს. ადმინისტრაცია ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ შილოს საშუალება არ მისცეს ამომრჩევლებთან კავშირი იქონიოს. საკმაოა შილოსთან დაახლოვება, რომ ადმინისტრაციამ ეჭვის თვალით დაგიწყონ ყურება და სხვა მხარეში ამოგაყოფინონ თავი. ამიტომ ამომრჩევლები ძალიან ერიდებიან შილოს და თუ ვინმეს მასთან კავშირი აქვს, ისიც ჩუმად.

(„რეჩი").

**✦ ახალი საუნივერსიტეტო წესდება.** „რეჩი"-ს სიტყვით ახალ საუნივერსიტეტო წესდებას სამინისტრო საბოლოოდ ორი კვირის შემდეგ განიხილავს და შემდეგ სახელმწიფო სათათბიროში შეიტანს. მინისტრთა საბჭოს ზოგიერთ წევრებს განუზრახავთ შესწორება შეიტანონ წესდების იმ ნაწილში, სადაც საერო განათლების მინისტრი სტუდენტთა ორგანიზაციებს ეხება. საერო განათლების მინისტრის წესდებით სტუდენტებს ორგანიზაციის დაარსება მხოლოდ უნივერსიტეტს გარედ შეუძლიანთ. მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი წევრების აზრით კი ამ მხრივ სტუდენტთა უფლება უნდა გაფართოვდეს.

**✦ ოდესაში.** ამ დღეებში ოდესამ განსვენებულ პერგამენტის მაგიერ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი უნდა აირჩიოს. ოდესის გრადონაჩალნიკ გენერალ ტოლმაჩევს გადაუწყვეტია ყოველივე ღონე იხმაროს და სახელმწიფო სათათბიროში „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრი გაიყვანოს. სხვათა შორის ტოლმაჩევს დაუბარებია „ოდესსკ. სლოვოს" რედაქტორი და დაახლოვებით შემდეგი უთქვამს: ძალიან ნაწყენი ვარ, რომ თქვენ ბროდსკის (კადეტების კანდიდატია) აქებთ. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ და სხვები სცდებით, როდესაც რწმუნდებით რა სხვებსაც არწმუნებთ, ვითომ რუსეთში კონსტიტუცია იყოს. სახელმწიფო სათათბიროს არავითარი უფლება არა აქვს, სათათბირო ერთობის ჩვეულებრივ კრებას მოგვაგონებს და მთავრობას ყოველთვის შეუძლიან იგი დროებით, ან სამუდამოდ დაითხოვოს. ტყუილადვე ფიქრობთ, ვითომ სტოლიპინი კონსტიტუციის მომხრე იყოს. სტოლიპინი ისეთივე მონარქისტია, როგორც მე და სხვები. მე ეს უმეტესად კარგად ვიცი. და ამიტომ ძალიან ვწუხვარ, რომ მემარჯვენე პრესას სტოლიპინის წინააღმდეგ მიდისო" და სხვ. ამასთან, რა თქმა უნდა, ტოლმაჩევმა რედაქტორს „მამაშვილურად" ურჩია, ვინ უნდა აქოს, და ვინ აძაგოს.

ამომრჩევლების წინასწარ კრებებზე ხომ ნურას იტყვით. „რუსკ. სლოვო"-ს ოდესიდან დეპეშით ატყობინებენ: ამომრჩევლების პირველი კრება სულ ოთხი წუთი გაგრძელდა. კრების თავმჯდომარემ, პროგრესისტმა ბალცმა სულ რამდენიმე სიტყვის თქმა მოასწრო: „რუსეთი იმ ურემს მოგვაგონებს, რომელსაც თვლები არა აქვს. საჭიროა თვლები, რომ"... ამ სიტყვებზე ბალცი ბოქაულმა შეაჩერა და განაცხადა კრებას ვხურავო. ზოგიერთმა ამომრჩევლებმა ყვირილი დაიწყეს: რუსეთში არავითარი კონსტიტუცია არ არის და არც გვინდა... რუსეთს ურემი აქვს... ძირს თვლები, საჭირო არ არის... კრების გათავების შემდეგ ბალცს ქუჩაში ვიღაც უცნობები დაუხვდნენ და სილა გაარტყეს. უცნობები ვერ დაიჭირეს, მიიმალნენ.

„რუსკ. ვედ."-ის სიტყვით, ამომრჩევლების მეორე კრებას დასწრებია თვით ტოლმაჩევიც. ამ კრებაზე არ შეუშვიათ „რუსკ. სლ."-ს და „ნოვოე ვრემია პრესსის" კორესპონდენტები. შეშვებას ვიღა ჩიოდა, კორესპონდენტებისთვის უცემიათ კიდეც. როგორც სჩანს, ტოლმაჩევს გადაუწყვეტია, რათაც გინდა დაუჯდეს, თავისი გაიყვანოს!!

**✦ ახალი ჰაეროპლანი.** სტუდენტ ბალიკინს უკვე დაუმთავრებია თავის ჰაეროპლანის გაკეთება. ჰაეროპლანის გამოცდის დროს გამორკვეულა, რომ ჰაეროპლანის ზოგიერთ ნაწილებს გადაკეთება უნდა, ამისთვის ერთი თვეა საჭირო. ბალიკინის ჰაეროპლანი სხვა ტიპის ჰაეროპლანებისგან განირჩევა თურმე.

**✦ უფროსი.** ამ რამდენიმე ხნის წინად ჩვენ ცნობა გვქონდა, რომ მანსკის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი კრავჩუკი მოხელეებს სათვალეების და ჯოხების ტარებას უკრძალავსო. ამ დღეებში კრავჩუკს ბრძანება გამოუცია, არც ერთმა მოხელემ არ გაბედოს და გახამებული საყელო არ ატაროსო. კრავჩუკს ამ ბრძანების აუსრულებლობისათვის უკვე ერთი მოხელე დაუთხოვია. კრავჩუკი ადგილობრივ ეკლესიის მზრუნველი ყოფილა. ეკლესიაში მისი შიშით მოხელეები ვეღარ დაიარებიან თურმე. როგორც ყოფილა ერთ მოხელეს გაუბედნია და ეკლესიაში წასულა. საუბედუროდ ეკლესიაში კრავჩუკიც აღმოჩენილა. კრავჩუკს მოხელე აუთვალიერ-ჩაუთვალიერებია და მოხელისთვის უთქვამს გახამებული საყელო რადა გაქვსო. მოხელეს უპასუხნია, ეხლა მაგის დრო არ არის, მლოცველებს ხელს ნუ უშლითო. ამაზე კრავჩუკი გაჯავრებულა, როგორ მიბედავ მაგ სიტყვებს, არ იცი ვინცა ვარო და სხვა. საწყალი მოხელე ეკლესიიდან გამოსულა და სახლში წასულა. გზაში მას დასწევია კრავჩუკი, თან ბოლიციელი წაუყვანია და მოხელე დაუპატიმრებია!!!

**✦ პოლონეთის რევიზია.** ხარკოვის ქალაქის გაზეთების სიტყვით, მინისტრთა საბჭოს საბოლოოდ გადაუწყვეტია, მოახდინოს პოლონეთის რევიზია. რევიზორად გაიგზავნება სენატორი გარინი.

**✦ სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, მოსკოვში 2, პეტერბურგში 3, ვარშავაში 1, რიგაში 1, რეველში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ტომსკში 3, ეკატერინოსლავში 2, უფაში 5 კაცი.

# უცხოეთი

**პოლიტიკური ბრძოლა ინგლისში.**

როგორც ვიცით, ინგლისში ფაქტიურად უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია. მით მაინც ბევრნი სცდილობენ ორსავე პალატის მორიგებას და კონფლიქტის თავიდან აცილებას. სხვათა შორის მორიგებას ძლიერ უწყობს ხელს მეფე ედუარდიც. ბალმორალის სასახლეში მეფესთან რამდენსამე დღეს იყო სტუმრად ბიუჯეტის მტერი ლორდ როზბერი და სწორედ იმ დროს, როგორც ამბობენ, როზბერის რჩევით კონსერვატიულმა გაზ. „გლაზგოვ ჰერალდ"-მა ურჩია ლორდებს, ბიუჯეტს ნუ უარჰყოფთო. როზბერის გარდა, ბალმორალში მეფესთან მიწვეულები იყვნენ სამხედრო მინისტრი ხოლდენი, ლორდ ლენსდოუნი და ლორდ კაუდორი.

რადიკალური გაზ. „მორნინგ ლიდერი"-ი გადაჭრით აცხადებს, რომ მეფე ურჩევს ლორდებს—ბიუჯეტი არ უარჰყოთო, რადგან ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტის წინააღმდეგ არა ითქმის რაო.

საარჩევნო აგენტები პროვინციიდან ატყობინებენ ცენტრალურ კომიტეტებს ლონდონში, რომ ბიუჯეტი ძლიერ მოსწონს ხალხსა და რომ ამომრჩევლები უთუოდ მხარს დაუჭერენ ეხლანდელ სამინისტროს და ნამეტნავად ფინანსთა მინისტრს ლოიდ ჯორჯს და პირველ მინისტრს ასკიტსაო. იგივე აგენტები იუწყებიან, რომ მუშა ხალხი მეტად გაავებულია ლორდების მიერ ბიუჯეტის გმობამ და მილიონერების ჩივილმა, რომ ლოიდ ჯორჯი მათ ყაჩაღივით სძარცვავსო. კონსერვატიული პრესა არა ჰმალავს, რომ პროვინციიდან მისთვის მეტად უნუგეშო ცნობები მოდის

**გაფიცვა შვეციაში.**

შვეციის მთავრობა შეეცადა მუშებისა და მრეწველების მორიგებას, მაგრამ ვერას გახდა, და მუშები ისევ განაგრძობენ გაფიცვას. მუშათა კლასის უმთავრესი ძალა სამრეწველო მუშები, როგორადაც უფრო კარგად შეკავშირებულნი, რიცხვით 160 ათასი, ჯერ არ შესდგომია მუშაობას. გაფიცულებს ჩამოშორდნენ მხოლოდ ხელოსნები და წვრილი ქარხნების მუშები ევროპის დემოკრატიულ პრესის აზრით, მთავრობის შუამავლობა თუ მარცხით გათავდა, ეს სულ „მრეწველთა კავშირის" ბრალიაო; ამ კავშირმა ეხლაც ვერ მოიშალა თავისი პროვოკატორული ტაქტიკა. მან განაცხადა, რომ ამას იქითაც, როდესაც კავშირი საჭიროდ დაინახავს, ლოკაუტს მივმართავთო და სწორედ ამ განცხადების გამო ჩაიშალა მოლაპარაკება მორიგებაზე. მუშათა ორგანიზაციებს არ შეეძლოთ ასეთ პირობაზე დათანხმება, რადგან საყოველთაო გაფიცვაც სწორედ ლოკაუტებმა და მრეწველთა კავშირის აღვირწახსნილმა მოქმედებამ გამოიწვია. ამ დღეებში ნორვეგიისა, დანიისა და ფინლიანდიის მუშათა ორგანიზაციები თათბირს მოახდენენ შვეციელ მუშათა გაფიცვასა და გაფიცულთა დახმარებაზე.

**ესპანიის მთავრობის მოქმედება.**

ესპანიის რეაქციონური მთავრობა ნამდვილი სისხლის მსმელი გამოდგა: იგი დღემდე განაგრძობს რევოლიუციონერების სიკვდილით დასჯას ბარცელონაში. ამ დღეებში თოფით დახვრიტეს „პოლიტიკური დამნაშავე" 24 წლის ახალგაზდა. კიდევ სიკვდილით დასჯას უპირებენ ცნობილ მოღვაწეს ფერერას.

ფერერამ მოსწერა თავის პარიზელ მეგობრებს, რომ რაც ჩემ წინააღმდეგ მთავრობამ საბუთები შეკრიბა, სულ ყალბიაო. მე თითონ ვაპირებდი პოლიციაში მისვლას იმ დროს, როდესაც დამატუსაღესო. გუბერნატორმა მითხრა: „თქვენა მკითხეთ, რა საბუთები გაქვთ ჩემ წინააღმდეგო? თქვენმა წიგნებმა გამოიწვიეს ეს რევოლიუციაო.

ფერერას საქმე სამხედრო სასამართლოს გადაეცა გასარჩევად პროტესტის ნიშნად ფერერამ უარი სთქვა დამცველის არჩევაზე. სასამართლომ ოფიციალურ დამცველად დაუნიშნა ერთი აფიცერი.

ესპანიის ლიბერალურმა და რესპუბლიკელმა პარტიებმა პირველ მინისტრს მოსთხოვეს კონსტიტუციის აღდგენა ბარცელონში და სამხედრო სასამართლოების გაუქმება.

**პროტესტი ესპანიის მთავრობის წინააღმდეგ.**

21 სექტემბერს ლონდონში კრება მოახდინეს, პროტესტი გამოუცხადეს ესპანიის მთავრობას და მოითხოვეს, რომ ფერეროს საქმე სამოქალაქო სასამართლოს გადაეცეს გასარჩევად. კრებაზე ილაპარაკეს ინგლისის პარლამენტის წევრებმა კეირ-ჰარდ.მ, გრინკუდმა და სხვებმა...

ფრანგ რადიკალების კონგრესმა, რომელსაც 1300 დელეგატი დაესწრო, ერთ ხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოცხადებულია თანაგრძნობა ყველა ქვეყნების დემოკრატიულ პარტიებისადმი და დ გმობილია ესპანიის რეაქცია.

პარიზის ქუჩებშიაც მოახდინეს კრებები ესპანიის მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად ქუჩებში მიდი-მოდიოდნენ ავტომობილები, რომლებზედაც ქაღალდები იყო მიკრული ზედ-წარწერით: ესპანიელი ბერები ფერერის სიკვდილით დასჯას თხოულობენ". სოციალისტებმა დეკლარაცია გამოსცეს და მუშებს პროტესტის გამოცხადება ურჩიეს. ესპანიის საელჩოს შენობას პარიზში ჯარი იცავს.

ფრანგ სოციალისტებმა დაავალეს თავიანთ დეპუტატებს, პარლამენტის გახსნის უმალ პროტესტი განაცხადეთ ესპანიის რეაქციის უდიერობის წინააღმდეგო ამ საქმეზე პირველად უნდა ილაპარაკოს ჟორეს.


**კირვილი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

(დაარსებულია 1880 წელს)

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**შ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—182)

**ფიკუსი**

ძალიან

იაფად იყიდება

საპიორის ქ., № 7, იკითხეთ სახლის პატრონი იქვე.

(1—473—1)

**იაფად იყიდება სრული**

**თ ხ ზ უ ლ ე ბ ა**

**ია ეკალაძისა**

**(ი. ცინცაძისა)**

ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. მანეთიანი იყიდება 60 კაპ., ვინც 5 ც. მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა 50 კ. წიგნის დაბ-რება და ყიდვა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი, ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოება, ვ. ედილაშვილი. (ნ. 10—3)

**რადგან ვიღაც ბოროტ-მოქმედნი ქალაქის წყლის მილის აბონენტებს ჰპარავენ**

წყლის საზომებს და ისრებს ამრუდებენ, ამიტომ

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ სახლის პატრონებმა წყლის საზომთან არავინ არ უნდა მიუშვან, იმათ გარდა, ვისაც მოწმობა ექნება იმისა, რომ შეუძლიან გახსნას წყლის საზომი.

(8—ნ.—1)

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუხჰალტრო კურსები**

**ნ. ვ. აბრაამიანისა.**

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის, წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ—21)




**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის**

**მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—ნ—75)